

აღდგენის წესით ჩარიცხვის მსურველთა საყურადღებოდ !

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2015 -2016 სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან სწავლების სხვადასხვა საფეხურებზე (ბაკალავრიატი/პროფესიული უმაღლესი სწავლება, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) აღდგენის წესით ჩარიცხვის მსურველებმა, განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია (დანართი 1) უნდა წარმოადგინონ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2015 წლის 24 აგვისტოდან 17 სექტემბრის ჩათვლით. საბუთები მიიღება ყოველდღე 10⁰⁰ საათიდან 16⁰⁰ საათამდე გამოსასვლელი დღეებისა და კვირის გარდა (თბილისი, კოსტავას 77, ადმინისტრაციული კორპუსი, მე-3 სართული, ოთახი N350);

აღდგენის წესით ჩარიცხვის მსურველთა მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

1. განცხადება;
2. პირადობის მოწმობის დედანი და ასლი;
3. სასწავლო ბარათი (ნიშნების ფურცელი) დამოწმებული ბეჭდით;
4. ატესტატის (დიპლომის) ასლი;
5. ჩარიცხვის ბრძანების ასლი, დამოწმებული ბეჭდით;
6. გარიცხვის ბრძანების ასლი, დამოწმებული ბეჭდით;
7. სამხედრო მიწერის მოწმობის დედანი და ასლი (ვაჟებისათვის).

შენიშვნა: აღდგენის წესით დოქტორანტურაში ჩარიცხვა ხდება სტუ-ს სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის შესახებ დებულების შესაბამისად, საფაკულტეტო დროებითი კომისიის დასკვნის საფუძველზე.